პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

ცისფერ-ყვითელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტბანაფოფილების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქცია მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერათათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ. წრთელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 სვ —80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

145 (1140) | კვირა, 15 აგვისტო 1926 წ. | 145 (1140)

ვემზადოთ საერთო ტერშეკრებისათვის!

ახლოვდება საერთო ტერშეკრების დაწყების დრო. ეს გარემოება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს ჩვენს ტერნაწილების ძირედი შემადგენლობის წინაშე ამოცანას საფუძვლიანი მომზადების შესახებ ამ ტერშეკრებისათვის. მომზადების ამოცანაა ასი პროცენტით უზრუნველყოს ტერშეკრებაზე ცვალებადელების გამოცხადება და ასეთივე წარმატებით ჩაატაროს მათი ერთთვიანი სამხედრო-პოლიტიკური სწავლება.

ამ ამოცანის შესრულება საკმაოდ შესაძლებელი, თუ გავიგონებთ წინასწარ ის, რომ როგორ ნაყოფიერად ჩავატარებთ წინასწარ მომზადებელ მუშაობას, რომელშიდაც აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ტერნაწილების ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელებმა. ეს უკანასკნელნი მზად უნდა იყვნენ ცვალებად პირობების შესახებ დრად. მათ არ უნდა დაივიწყონ რომ როგორც სამხედრო სწავლებაში, ისე რევოლიუციონურ დისციპლინის განმტკიცებაში და ყოველგვარ საბრძოლო ვალდებულებათა შესრულებაში ისინი საუკეთესო მაგალითი უნდა იყვნენ ცვალებადელთათვის.

გასაკეთებელი ენერგია და ძალით ვემზადოთ საერთო ტერიტორიულ ტერშეკრებისათვის.

ინგლისის მუშების და საბჭოთა პროლეტარიატის კავშირი მტკიცე და ურყევია

თორმეტ აგვისტოს მოსკოვში ბის საკითხის გარჩევაზე. და ეს იმ დროს, როცა ინგლისის სამთავრობო მრეწველობის გაფიცული მუშები საშინელ მატერიალურ სიღარიბეში იმყოფებოდნენ. ამ საკითხის კომიტეტის სხდომის შეისმინა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის მოხსენება ინგლისის—საბჭოთა კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში. მოხსენების შემდეგ ტერშემა გამოიტანა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც ჯამს უკეთებს ინგლის—საბჭოთა კომიტეტის ზემოხსენებულ სხდომას.

ეს რეზოლიუცია დიდათ მნიშვნელოვანია და მას უნდა გაეცნოს ყოველი წითელ არმიელი.

ინგლის—საბჭოთა კომიტეტის სხდომა მოწვეულ იქნა საბჭოთა პროფკავშირების თაოსნობით. მიზანი იყო, რათა ამ კომიტეტის სხდომაზე საფუძვლიანად გარჩეულ ყო ინგლისის მთამადლებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი. პირველად ინგლისის პროფესიონალური საბჭო გამოდა ამ სხდომას, მაგრამ დაინგლის იძულებული გახდა ასეთი განცხადებით გამოსულიყო. მაგრამ ინგლის-საბჭოთა კომიტ. სხდომაზე ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციამ დაიჭირა უდიდესად გამცემლური პოზიცია. მან უარი თქვა დახმარებაზე პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ყოველმხრივ ჩაებან ასეთები ტერშეკრებისათვის მოსამზადებელ მუშაობაში.

მომზადება უნდა სწარმოებდეს ერთ-თვიან სწავლებისათვის ნორმალური პირობების შექმნის ბაზით ნაწილში. სამოსწავლო გეგმა, საბრძოლო დარგი და სხვა—ყველაფერი მზად უნდა იყოს ცვალებადელთა მოსვლის მომენტისათვის.

ვიმეორებთ ტერშეკრების წარმატებით ჩატარება სავსებით დამოკიდებულია იმისგან, თუ როგორ ნაყოფიერად ჩავატარებთ წინასწარ მომზადებელ მუშაობას, რომელშიდაც აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ტერნაწილების ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელებმა. ეს უკანასკნელნი მზად უნდა იყვნენ ცვალებად პირობების შესახებ დრად. მათ არ უნდა დაივიწყონ რომ როგორც სამხედრო სწავლებაში, ისე რევოლიუციონურ დისციპლინის განმტკიცებაში და ყოველგვარ საბრძოლო ვალდებულებათა შესრულებაში ისინი საუკეთესო მაგალითი უნდა იყვნენ ცვალებადელთათვის.

გასაკეთებელი ენერგია და ძალით ვემზადოთ საერთო ტერიტორიულ ტერშეკრებისათვის.

ინგლისის მუშათა გამცემელ ბელადებმა ერთხელ კიდევ გამოაჩინეს მოღალატური სახე.

მთავრობა განაგრძობს ზომებს გაფიცულ მუშათა მოსაღრეკად.

გაფიცულ მემაღაროელებს მიესდით დახმარება და მხურვალე მისალმებანი სხვადასხვა ქვეყნის მუშებისაგან.

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმი

გამყიდველებმა აუკრძალეს ჩამოსვლა ნიღაბი

12 აგვისტოს მოსკოვში შესდგა საკავშირო ცენტ. პროფსაბჭოს პლენუმი. პლენუმზე საბჭოთა დელეგაციამ მოხსენება გააკეთა საფრანგეთში გამართულ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომის შესახებ.

პლენუმმა მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

სცდილობენ გასტეხონ მუშათა ნებისყოფა

„ინგლისის დელეგაცია სხდომაზე (საფრანგეთში) გამოვიდა მაღაროს მუშათა ფართე მასების ინტერესების წინააღმდეგ. გამეცნა ბელადები სცდილობენ გაბრწყინან მემაღაროეთა ნებისყოფა, გაუტეხონ მათ გული და დაახეკინონ ბრძოლაში.

მებრძოლ მუშათა გაჭირვება დიდია. მუშაობა საქმის ყოველი პატიოსანი მომხრე უნდა სცდილობდეს მთა-მადნის მუშებზე დახმარებას.

ძმა ძმისთვისო—შავი დღისთვისო

ამიტომ ცენტრალურ პროფსაბჭომ ითავა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევა და დააყენა გაფიცულებზე დახმარების საკითხი მაგრამ, როცა გაფიცულთა გაჭირვება უმწვერვალესად გაიზარდა და გაიზარდა აგრეთვე ბურჟუაზიის შემოტევაც, ინგლისის დელეგაციამ უარი განაცხადა გაფიცულებზე დახმარების საკითხის განხილვაზე.

სურთ ჩაშალონ ინგლის-რუსეთის კომიტეტი

ამ რიგად, უარით, ინგლისის მუშათა გამცემელ ბელადებს სურთ ჩაშალონ ინგლის-რუსეთის კომიტეტი და საერთაშორისო დახმარება ინგლისის გაფიცულებისადმი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა ასეთ ნაბიჯებისათვის მთლიანად ეკისრება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ინგლისის დელეგაციას. სურს მუშები ყოველმხრივ ეცდებიან დაიცვან პროფმოძრაობის მთლიანობა.

სწრაფ კვლავ გააგრძელებს მაღაროს მუშებზე დახმარებას.

პროფსაბჭომ გაუგზავნა ინგლისის მუშებს შემდეგი დეპეშა:

პროფსაბჭოს პლენუმი მხურვალედ გესალმებათ გმირულ მებრძოლთ. პლენუმი შეკავშირებულ მუშათა მასების სახელით აცხადებს, რომ ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს მებრძოლ მემაღაროეებს და ყოველ ღონის ძიებას იხმარს, რათა ხელი შეუწყოს მემაღაროეთა გაფიცების გამარჯვებას.

ზომები მუშების წინააღმდეგ.

ინგლისური გაზ. „დეილი ჰერალდის“ ცნობით, მონტერტონის პოლიციის უფროსმა, შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციის მიხედვით აკრძალა სამთა-მადნო მუშათა ყოველგვარი პროცესები (სასამართლოს გზით საქმის გადაწყვეტა).

ინდოელ მუშათა გადაწყვეტილება

ბენგალიის მთამადნის მუშებმა ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლად დააარსეს მოკმედების კომიტეტი.

მოკმედების კომიტეტი აყენებს წინადადებას, რომ ინდოეთის მუშებმა თანაგრძნობის გაფიცვა გამოაცხადონ მთელ ხნის განმავლობაში, სანამ ინგლისის მუშათა გაფიცვა არ დასრულდება.

ბრძოლა ჩინეთში.

პეკინში ისმის ზარბაზნების სროლა.

უკანასკნელ დღეებში პეკინში გარკვეულად ისმის ზარბაზნების ხმა. ფიქრობენ, რომ ბრძოლა პეკინიდან 20 ვერსის მანძილის მოშორებით სწარმოება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცენტრთო მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე უკეთესია.

სასტიკი ზომები ბეჭდვითი საქმის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. ლინ-ბეი-შუას (ვაზეთის რედაქტორი) სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიკეტა მსხვილი გაზეთები.

საბჭოთა კავშირში

პიონერთა ცენტრ. ბიუროს გაფართ. პლენუმი.

სექტემბერში მოსკოვში მოწვეულ იქნება პიონერთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმ. პლენუმზე მონაწილეობას მიიღებს პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოს მოადგილენი.

საქართველოში.

მანქანების ჩამოტანა.

საქართველ. ს ფაბრიკა ქარხნებ. ს მოსაწყობად საჭირო მოწყობილობის შ. მოტ. ნის გეგმა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული გეგმით იმ ქარხნების და ფაბრიკების მოსაწყობად, რომლებიც ამჟამად შენდება, 1926-27 სამიწადეტო წლისთვის შემოტანილ იქნება 5.745.613 ჰანეთის ირაოები და სხვა მოწყობილობა, ხოლო უკვე არსებულ ფაბრიკა-ქარხნების შესავსებად და გასაუმჯობესებლად—423.425 მანეთის ირაოები. შემოტანის გეგმაში შედის აგრეთვე 52.000 მან. ნედლეულის და 434.245 მანეთის ნახევრად ფაბრიკატების და დამზმარე მასალების შემოტანა. სულ სახელმწიფო მრეწველობისათვის 1926-27 წელს შემოტანილ უნდა იქნეს 6.655.283 მანეთის საქონელი, ხოლო შინამრეწველობისათვის—304.850 მანეთის დამზმარე და ნედლი საქონელი.

ტყვიბულის მაღაროებში

ძველ მადაროებში, რომლებშიაც დღემდე მუშაობა არ სწარმოებდა დაიწყო მუშაობა, რომელმაც კარგი შედეგები ჭმოიტანა. ამობურღვას აწარმოებს მოსკოვიდან ჩამოსული მუშათა არტელი.

საბინაო აღმშენებლობა

საბინაო სივიწროვის გამო ტყიბულში, საბინაო ცენტრმა, საცხოვრებელი ბინების ასაგებად გადასდო 400.000 მანეთი.

გლეხთა აბარაკი

სოფელ ზინობიანში (თელავის მაზრა) 1925 წელს აღსოჩენილ იქნა რადიო-აქტიური წყაროები.

მიმდინარე წელს ამ ადგილას დადგეს ქვაბი წლის განსათბობად. ახლო-მახლო სოფლებიდან სამკურნალოდ ჩამოდის დიდძალი გლეხობა.

ფისების დაკლება სიმინდზე

სამხრეთ კავკასიასთან მამისონის უღელტეხილის მისვლა-მოსვლის აღდგენის შემდეგ—ონში სიმინდის ფასი ძლიერ დაეცა. 3 მანეთიდან ჩამოვიდა 1 მ. 80 კ. ფუთზე.

1904 ᲬᲔᲚᲡᲘ ᲓᲐᲒᲒᲓᲔᲒᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲬᲕᲔᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ყველა გაწვეულები, რომლებიც შეტანილი არიან გასაწვევ სიაში და უთამაშიათ კენჭი, მათ რიცხვში ისინიც, ვინც კენჭის თამაშზე არ გამოცხადებულა, მაგრამ მათ მაგივრად ამოღებულია კენჭი, ვალდებული არიან გამოცხადდენ საექიმო შემოწმებაზე იმ დღეებში, რომლებიც დანიშნული აქვთ კენჭის ნომრებზე.

შესაკრებ წერტილზე ისინი უნდა მოვიდენ და თან უნდა იქონიონ მოწერის მოწმობა, კენჭის ნომერი, უნდა გამოცხადდენ იმ ანგარიშით, რათა ადგილზე იყვენ შემოწმების დაწყებამდე.

თუ გაწვეული სამსახურისთვის სავარგისია და შემოწმებაზე დაიგვინა, ის გაიგზავნება ჯარში მიუხედავად კენჭისა, გაწწესების ზვით.

ᲜᲣ ᲓᲐᲘᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑ

დაგვიანებულები, რომლებიც გამოცხადდებიან გასაწვევი წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ჩაირიცხებიან ჯარში შემდეგ მორიგ გაწვევის დროს, ე. ი. შემდეგ წელში, პირველ რიგში, კენჭის ამოღებლად. სხვანაირად რომ ვსთქვათ, არმიაში ისინი აუცილებლად ჩაირიცხებიან იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც მათ კენჭის მიხედვით არ მოუწევდათ გაწვევა, რომ თავის დროზე გამოცხადებულიყვენ.

გარდა ამისა, გაწვევაზე დაგვიანებულები, თუ რომ დაგვიანება არაა გამოწვეული საპატიო მიზეზებით, კარგავენ შეღავათის უფლებას ოჯახურ—ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით; მასთან ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, როგორც ამრიდებლები.

ამის შესახებ კანონში ასე სწერია: „ვინც სამხედრო სამსახურში გასვლას გაექცევა, მას სჯის კანონი შემდეგნაირად: თუ რომ დანაშაულს ამსუბუქებს რაიმე, ან ამრიდებელი პოლიტიკურად მცირე შეგნებულია, მას ჩამოერთმევა ქონების ნაწილი, არა ნაკლებ 300 მანეთად ღირებულებისა; მასთან თვითონ გაიგზავნება ნაწილში სამხედრო სამსახურის გასავლელად; თუ რომ დანაშაულს შემამსუბუქებელი გარემოება არ არის—ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ქონების ნაწილის ჩამორთმევით; სასჯელის მოხდის შემდეგ იგზავნება ნაწილში სამსახურის გასავლელად“.

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ.

გაწვეულები, ვისაც დაუსრულებიათ უმაღლესი სასწავლებელი, მეორე საფეხურის სკოლები, შუამთა ფაკულტეტები, ტხნიკუმები და მათი შესაბამი სასწავლებლები, და აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც ჩარიცხულ უნდა იქნან ზურგის ლაშქარში, ან ფარის ამბობენ სამხედრო სამსახურზე სარწმუნოებრივ ჩიადგზე,—ვალდებული არიან გამოცხადდენ საექიმო შემოწმებაზე მათთვის დანიშნულ ვადებში.

მიუხედავად იმისა, გაიცხადებს გაწვეული ავადმყოფობაზე თუ არა, სულ ერთია, მას სინჯავს ექიმი, ვინაიდან წვევამდელმა, რომელიც აცხადებს, რომ ის ჯანსაღია, შეიძლება არ იცოდეს კარგად თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა; ხოლო უკანასკნელ დროს ხშირია შემთხვევა, რომ გაწვეულს, უნდა რა ჯარში მოხვედრა და ეშინია არ მიიღებს, ჰფარავს ავადმყოფობას.

იმ შემთხვევაში, როცა ექიმები ვერ შეთანხმებულან გაწვეულის შემოწმების შედეგში, და თუ რომ კომისიის დანარჩენი წევრები არ ეთანხმებიან ექიმების აზრს, გაწვეული იგზავნება ხელახლა შესამოწმებლად უმაღლეს გამწვევ კომისიაში.

ამ კომისიის გადაწყვეტილება უკვე საბოლოოა და გასაჩივრება არ შეიძლება.

იმ შემთხვევაში, როცა ექიმები ვე განსაზღვრავენ გასაწვევ კომისიაში გაწვეულის ჯანმრთელობას, ის იგზავნება შესამოწმებლად რომელიმე სამკურნალო დაწესებულებაში.

ᲡᲘᲛᲣᲚᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲐᲜ.

უნდა ითქვას, რომ სიმულიაცია და ჯანმრთელობის განგება დაზიანება, რომელიც ახასიათებდა ძველ არმიას, თითქმის აღარ არსებობს წითელი არმიის პირობებში.

ამჟამად, როცა მედიცინა იმდენად განვითარებულია, ძნელი ექიმის მოტყუებელია სიმულიაციის ან ჯანმრთელობის ხელოვნურად დაზიანების გზით.

ის მოქალაქენი, რომლებიც ამ გზით შეეცდებიან სამსახურის არიდებას, მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 81 მუხლის ძალით.

ცხენთა გადარბენა

როგორც აღნიშნული გვქონდა 11 აგვისტოს, ცხენთა გადარბენის მონაწილენი თბილისიდან გაემართენ მცხეთისაკენ, აქ გვერდს აუქცევენ მცხეთას, წავლენ ძველი გზით, რომელიც რკინის გზის გაყვანამდის თბილისს აერთებდა ქუთაისთან.

წითელ ქალაქთან ეს გზა მტკვრის კალაპოტს უახლოვდება, გორთან კი მასთან გაიელის: „აქედან გადარბენაში მონაწილენი მიველენ დიდი-ლიახვის მიმდინარეობის გზით. ჭ. ცხინვალამდე; აქ იმათ უნდა გადალახონ სურამის ქედი, ამისათვის უნდა გაიარონ ფრონის ხეობა. იქ სადაც „წმინდა“ გიორგის ეკლესიის ნანგრევებია და ავადენ მთა პირადს მწვერვალზე.

აქედან კი იწყება თავდაღმართი მე. ყვირილას ხეობისაკენ და ვიწრო ბილიკი საურმე გზათ იცვლება, რაც გრძელდება დაბა საჩხერემდის.

საჩხერეს შემდეგ გადარბენაში მონაწილენი დასტოვებენ ყვირილის ხეობას და შეუდგებიან რაჭის ქედის გადალახვას.

ჯრუქის მონასტრის ახლოს შევლენ ჯრუქის ულონა-ხეობაში და აქედან გადავლენ ლეჩხუმის მაზრაში ქალ. ცაგერამდის. შემდეგ მიაღწევენ ცხენის-წყალის ხეობას და შეველენ ქვედა სვანეთში.

აქედან ჩოლურის თემის გავლით გადავლენ ზემო-სვანეთში და მივლენ ბეჩოში. ბეჩოდან გზა დაუვევს ინგურის ხეობაში და აღწევს სოფ. ლახამულამდის. აქედან გზა გადადის ხიდის ხეობაში, რომელიც წარმოადგენს საზღვარს სვანეთსა და აფხაზეთს შორის. შემდეგ გზა ეშვება მდ. სეკენის ხეობაში და შედის კოდორის ხეობაში. აქედან გზა მიდის სოფ. წებელდინკამდის—აღწევს ოლგინსკიას. აქედან ზღვის პირა შარა-გზით აღწევს ქ. სოხუმამდის.

მთელი ეს მანძილი გადარბენილ უნდა იქნას 14 დღის განმავლობაში.

გადარბენაში მონაწილეობენ შემდეგი ამხანაგები:

ჩაკოვსკი—კავალერიის ინსპექტორი; **ბუკლინი**—ცენზორის მეთაური; **ჯუჩინი**—სკოლის უფროსის თანაშემწე; **ხარებელია**—ქართული ცხენ. ლეგიონის ესკადრონის უფროსის თანაშემწე; **ეფრემიძე**—ქართული ცხენ. ლეგიონის პოლიტხელი; **ლეური**—სკოლის ოცეულის უფროსი; **დუსოვი**—ხენ. ლეგიონის მამასახლისი; **ლიუბარსკი**—ცხენ. ლეგიონის მჭედელი; **გოგობერიძე**; **მურუშკინი**—ცხენ. ლეგ. ესკადრონის უფროსი; **იუზუვჩუკი**—ცხენლეგიონის ოცეულის უფროსი; **ალნიაშვილი**—მ. ‑2 ქარ. დივიზიის უფროსი; **შლისოფსკი**—ლეგიონის უფროსი, **ლაზო**—ცხენ. ლეგ. ფერ. თანაშემწე; **შენგელაია**—მინდორის ლობისთვის; **ნემიროვი**—ლეგ. თვი; **მასიანოვი**—სომხ. ‑ ხენ. ლეგ. სკოლის უფროსის თანაშემწე; **კირიენკო**—65 ცხენ. ლეგიონის მამასახლისი და **ბელოზოვკა**—წითელ არმიელი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐᲜᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲨᲔᲘᲐᲠᲐ ᲚᲔᲓᲘ.

ამერიკამ შეიმუშავა ახალი კანონპროექტები. თანახმად კანონპროექტისა მომავალ ხუთი წლის განმავლობაში მთავრობა გადასცდებს 170 მილიონ მანეთამდი ავიაციის საქმეზე. ამ ფულით აგებულ იქნება 1.047 ჰიდროპლანი და ორი უზარმაზარი დირიჟაბლი.

სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე საჰაერო ფლოტის კადრების გაძლიერებას.

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲐᲓ.

ინგლისი ამზადებს 15 სპეციალურ სატრანსპორტო თვითმფრინავს ჯარების გადასაყვანად. თვითეული ამპარატი დაიტევს 25 ჯარისკაცს მთელი მოწყობილობით. თვითეულ თვითმფრინავს ექნება თავისი რადიო-სადგური.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲡᲠᲝᲚᲐ

საბრძოლო სროლაზე ცალკე მსროლელები და მთელი ნაწილები ვარჯიშობენ სროლაში ტაქტიკური ამოცანის გადაჭრასთან ერთად.

მტერი გამოხატულია სანიშნოებით, რომლებიც ხანგამოშვებით გამოჩნდებიან სფარიდან. თვითეულ სფარში წინასწარ იგზავნება მეელსმენე და ორი კაცი სანიშნოების გამოსაჩენად.

სწავლების ხელმძღვანელი სარგებლობს ელსმენის კავშირით.

ის უჯენების სანიშნოების აყენების დროს, რომლებიც შემოხატულ უნდა იქნან ცოდნა შეძინების, ადგილმდებარეობასთან შეხამების, ერთი საბრძოლო წყობიდან მეორეზე სწრაფად გადასვლისა და სხვა.

საბრძოლო სროლა ტაქტიკური ამოცანით საუკეთესო სახეა ნაწილის ტაქტიკურ—სასროლო მომზადების გამოცდისა.

ე. პ.

ᲒᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲐᲢᲪᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲒᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲡᲠᲝᲚᲐᲖᲔ

ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

თვითეული მსროლელი ბრძოლაში შეტად დიდ როლს თამაშობს.

ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეუძლია მსროლელს იარაღის ხმარება და ზარალის მიყენება მტერზე.

შაშხანით სროლის საშუალება მსროლელს შედარებით მხოლოდ მცირე მანძილზე აქვს. რამდენად მიზანი შორია, იმდენად საეჭვოა სროლის სიმარჯვე. 1200-1000 ფეხის ნაბიჯზე დამოუკიდებელი სროლის წარმოება შეუძლებელია. ამისათვის ათეულის უფროსი ნიშნავს საუკეთესო მსროლელებს, რათა უმნიშვნელოდ ბევრი ტყვია არ დაიხარჯოს.

600 ფეხის ნაბიჯზე მსროლელს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად სროლა. მაგრამ თვითეულ მსროლელს უნდა ახსოვდეს, რომ სროლა უნდა იყოს მარჯვე. ამისათვის ყოველთვის საჭიროა მოხერხებული ადგილის გამოძებნა, საიდანაც კარგად მოსჩანს მიზანი და თან შაშხანის დაყრდნობაც შეიძლება. შეტევის დროს უმჯობესია ესროლო იმ მიზანს, რომელიც შენს პირდაპირ მოსჩანს. მაგრამ თუ საჭიროა, უნდა მიეშველო მეზობელ ათეულსაც.

უნდა ისროდე მშვიდად და უკვირდებოდე მოხვედრას. ყოველი შეცდომა დამიზნებაში მყისვე უნდა გამოასწორო. ბრძოლაში თვითეული ვაზნა ძვირფასია.

თუ რომ მტერი გამოუშვებს ქიმიურ ყუმბარებს, მსროლელმა მაშინვე უნდა გაიკეთოს ანტაირი და მშვიდად განაგრძოს თავის საქმე.

იერიშზე გადასვლის წინ მსროლელები ხსნიან ხშირსა და მარჯვე ცეცხლს. კარგი—თუ იერიშმა გაიმარჯვა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაქცევა დაუშვებელია: უნდა დაიხიო წესრიგზე, რათა პირველ ხელსაყრელ შემთხვევაში კვლავ განმეორებულ იქნას იერიში.

მარჯვე ცეცხლი და მშვიდად მოქმედება—უეჭველი ლახვარია მტრისთვის.

ვ. კ.

ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲐᲜ

ᲠᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘ. ᲡᲐᲙᲝᲜᲢ-ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲗᲘᲐᲡ. ᲐᲚᲔᲜᲗᲛᲐ

საბინაო კრიზისი ჩვენში დიდ გავლენას ახდენს მუშათა ცხოვრების პირობებზე. მუშა მეტად ცუდ ბინებზე ცხოვრობს. ზხირად მთელი ოჯახით ის შეკუნცული პატარა ოთახში. ესეც ყველასთვის საკმარისი არაა.

გამოანგარიშებულია, რომ საბჭოთა კავშირის მთავარ სამრეწველო რაიონებში საცხოვრებელი მოედანი მოდის სულზე 5 ნახ. კვადრატული არშინი. ბევრი ფაბრიკა-ქარხნების ყაზარმებში სცხოვრობენ, სადაც მეტად მცირე სივრცე უწევს თვითეულს.

ვინც თვალყურს ადევნებდა გაზეთებს, ის ხშირად შეხვდებოდა ცნობებს იმის შესახებ, რომ მუშები იძულებული არიან იცხოვრონ ლუდის კასრებში (მაგალითად: მოსკოვში ერთ-ერთ ლუდის ქარხანაში), კიბეებ ქვეშ, ხოლო თავდაზე ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენაა და „ფუფუნებად“ ითვლება.

აი მოკლედ ის საბინაო პირობები, რომლებშიაც იმყოფებიან მუშები და მათი ოჯახები.

მაგრამ საბინაო აღმშენებლობის საკითხი ‚დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის შემდეგ განვითარებაზე. ბინების ‚სჭიროება სიმცირე აფერხებს ახალი მუშა-ძალის მრეწველობაში ჩაბმის საკითხს და, პირველაირ უნდა ითქვას, მეტად ცუდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

საკმარისია ვსთქვათ, რომ 1925—26 წელში მუშათა რიცხვი მსხვილ ‚სამრეწველოებში გაიზარდა 410 ათასით და ამ წლის ივნისში შეადგენდა 2.129 მეტ კაცს.

მუშათა რიცხვი მეტად სწრაფად იზრდება, ხოლო საცხოვრებელი ბინები კი-თითქმის ‚ არა. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია საცხოვრებელ ბინების შემჭიდროება და მუშათა ბინების დაზორება სამუშაო ადგილებზე. ეს მანძილი ხშირად აღწევს 6—8 ვერსს, რაც თავის მხრივ იწვევს დაღლილობის ზრდას, სამუშაო დღის გადიდებას და შრომის უნაირიანობის შესუსტებას.

თუ რომ ამ წელში ჩვენ გვქონდა მწვავე ნაკლებობა მუშათა ბინებისა, ახალი წლის დაწყებით, როცა ფაბრიკა-ქარხნებში შემოვა ახალი მუშა-ძალა, ეს საბინაო გაჭირვება კიდევ უფრო გამწვავდება.

მაშასადამე, მრეწველობის განვითარება სავსებით დამოკიდებულია საბინაო აღმშენებლობაზე. თუ, რომ სახელმწიფო არ მიიღებს ზომების დროზე, შეფერხდება მრეწველობის შემდეგი განვითარება. ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ არსებული მუშათა ბინები საშიროებენ საფუძვლიანად შეკეთებას.

ასეთმა მდგომარეობამ უკარნახა პარტიას მიექცია სერიოზული ყურადღება საბინაო აღმშენებლობისთვის. პლენუმმა დაწვრილებით გაარჩია ეს საქიო-ბოროტო საკითხი და დასახა ღონისძიებათა მთელი რიგი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ „საბინაო საკითხი მუშათა ყოფა-ცხოვრებაში თანდათან მწვავდებაო“ და დადებითად „გადაუჭრელად შეუძლებელი ოდნავადაც გაუმჯობესებულ იქნას მდგომარეობა“.

ხოლო კვეშდ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საბინაო კრიზისის გაძლიერება აფერხებს მრეწველობის შემდეგ განვითარებას.

საბინაო კრიზისის დაძლევისთვის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას „მუდმივი მუშათა სააღმშენებლო ფონდი“. ამ ფონდის თანხა უნდა შესდგებოდეს საბიუჯეტო ასიგნებიდან, სამრეწველოების მოგებათა ანარიცხიდან და სხვა.

საბინაო აღმშენებლობის მოსაწესრიგებლად სახელმწიფომ 5 წლიან გეგმაში უნდა შეიტანოს მუშათა საბინაო აღმშენებლობის გეგმა. მუშათა საბინაო აღმშენებლობის ‚ეგმის შედგენისას მიღებულ იქნება მხედველობაში აგრეთვე წითელი არმიის უფ‚შემოდგენილობის საბინაო მოთხოვნილებაც.

ამასთან ერთად აუცილებელ საჭიროდ ცნობილია, რათა ეს საბინაო აღმშენებლობა რაც შეიძლება იაფი დაჯდეს. ამ მიზნით უნდა მივაღწიოთ „დიდ ერთნაირობას მუშათა ბინების აგების საქმეში და მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა გამომუშავებულ იქნას უფრო იაფი და მუშებისთვის შესაფერი ტიპის ბინები; აქ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას აგრეთვე თავისებურობა და ადგილ. მასალების გამოყენების შესაძლებლობა“.

საბინაო აღმშენებლობაში ჩაბმულ უნდა იქნან თვით მუშები.

ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚ

იქნას საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა და წახალისებულ იქნას ქერძო პირთა თანასწრობა საბინაო აღმშენებლობაში.

ბოლოს, კიდევ ერთი ღონისძიება გამოიხატება იმაში, რათა საბინაო ‚გადასახადი დაწესებულ იქნას იმ ზომით, რომ უზრუნველყოფდეს სახელების არსებობას, შეკეთებასა და აღდგენას.

ესა და სხვა ღონისძიებები ამ საკითხში უზრუნველყოფს საბინაო კრიზისის დამარცხებას, ხოლო კრიზისის ‚დამარცხება კი—მასთან დაკავშირებულ სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებითი პირობა გადალახვას.

ვ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲤᲣᲚᲘᲗ ᲫᲘᲐᲧᲝᲤᲐ

თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა (№ 402) სამხედრო სამსაჯუროდან განთავისუფლებულები კმაყოფილდებიან ფულის კრაფით ყველა სახით გათავისუფლების დღემდი.

გათავისუფლების დროს იმ პირთ, რომლებიც მუშაობდენ სხვა თანადგომაზეც (შეთავსებით): გასაღელი დახმარება ამ თანამდებობიდან არ ეძლევა.

ᲣᲤᲠᲝᲛᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

რევსამხსაბჭოს მიერ განმარტებულია, რომ გარდაცვლილ ვადის ზევით მსახურის ოჯახს ძლევა დანამსახურები დახმარება.

გარდა ამისა გარდაცვლილის ოჯახი თავის ქონებით გადაიყვანება უკანასკნელის საცხოვრებელ ადგილზე სახელმწიფო ხარჯზე.

ᲕᲘᲜᲔ ᲓᲔᲑᲣᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ

რევსამხსაბჭოს ბრძანებაზე (№ 402) დანართში განსაზღვრებულია, რომ ვადის ზევით მსახურ უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები ორი წლის გავლის შემდეგ ღებულობენ ერთდროულ დახმარებას ერთი თვის ჯამაგირის ოდენობით, 4 წლის გასვლის შემდეგ—2 თვის, ხოლო 6 წლის გასვლის შემდეგ—სამი თვის ჯამაგირს.

დახმარება ეძლევა იმ პირობით თუ რომ აღნიშნული პირი კვლავ რჩება სამსახურში.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

რევსამხსაბჭოს ცირკულიარში განმარტებულია, რომ ნაწილების მოლარეებს უფლება არა აქვთ დაუკავონ ჯამაგირიდან ნებაყოფლობითი გადასახადები. გარდა ამისა ტრძალებათ მოხალისეორგანიზაციების თანხის შენახვა ნაწილების თანხებთან ერთად.

ჯამაგირიდან იძულებითი გადასახადის დაკერა სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლით დაშვებულია მხოლოდ მოთხოვნილებითი უწყებით ხელფასის მიცემის დროს, სადაც გადასახადის დაკავება სწარმოების თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა 1923 წ. № 835

მოთხოვნილებითი უწყების გარეშე იძულებითი და პირადი კრედიტით გადასახადის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ნაწილის ადმინისტრაცია და დაწესებულება იძლევა თავდებობას კრედიტის მიცემაზე. ასეთ შემთხვევებში მოლარე ვალდებულია აწარმოოს ვალის დაკავებათა ‚ განსაკუთრებული წუწუებები.

მანევრების დაწყების წინ

მანევრების შემდეგ.

1-ლი საარტ. ლეგიონი.

ჯერ კიდევ მზე არ ამ- სულ- ყო, როცა წითელ ქალაქ- ნ გამოვედით. წითელ ჯარ- ელთა მხიარული სიმღერა -მარეს აღვ ძებდ. ჯერ კი- № ქალაქში არ შემოვ- ნეყოვით, რომ იქვე ცხენ- გიონი გამოწყობილიყო შე- ჯედრად. ქალაქში შემოსვ- ას დასჭექა სამხედრო მუ- ა. ქალაქი გამხიარულდა. ები ხალხით აივსო... დგებინავდით. მუშაობა გა- ლა. რამ-დენიმე დღეში ოშვებულ იქნა კედლის გა ები ბატარეებში. ჩატარე ლ იქნა საუბრები მანევრე- ბის ნაკლსა და დადებით მხა- რეებზე.

დივმიზიეთ მთელი გორის მაზრის სოფლების სქემებია მკ ხოვრებთა რაოდენობითა და შემადგენლობით.

შემდეგ ჩვენმა ლეგიონმა გა- მართა მთელ დივიზიისთვის წა-მოდგენა— „საშინელი შუ- რისძიება“ და „სხვის ოთახში რა ვქენი“. წარმოდგენის შემ- დეგ წაკითხულ იქნა ლექსები, კომიკური სცენები, შესრუ- ლებულ იქნა სიმღერები და სხვა.

ა არველაძე.

ოთხი დღე მანევრებზე.

მე-2 ლეგიონ.

აგვისტოს ჩვენი ლეგიონის დგენილობა დაიძრა მუსიკით ლებისაკენ. გავიარეთ მრავალი ლები, წითელ არმიელთა მგზა- ბა ამ ხილითა და ბალებით სა- ბარეში პირდაპირ საკვირე- იყო; მტკიცე დისციპლინა, ბისადმი ძმური და ამხანა- ობა მოპყრობა—აი რით ხასიათ- დება ჩვენი წითელ არმიელთა უფოლიტშემადგენლობის ოთხ ანი მანევრი სოფლებში და ში. საღამოს ლეგიონი მივიდა ელ რუისში; ლეგიონი დაბა- და სოფელ გარეც. მეორე დღეს ვე დავიწყეთ მოძრაობა სოფე- მოკლე ხნით გაჩერების დროს ობოდით თანამედროვე სოფ- მგზომარეობას, გლეხობის კვეთებას მისი მეურნეობის ვებასა და ნაკლს, ადგილო- ბელისუფლების და პარტიის ობას. დღევანდელი ჩვენი სო- ა აღარა ის, რაც იყო რამო- მე წლების უკან, დღევანდე- გლეხკაცობას ფართოთ აქვს ებული ჩვენი ხელისუფლების ნი და საქმიანობა. მას შეგნე- აქვს, რომ წითელი არმია თ განსხვავდება ძველი ჯარი- როგორც შემადგენლობით შეგნებით, ისე მოქმედებით და თ.

განგაში რონოდუბის სწრაფი დატვირთვისთვის.

მე-3 ლეგიონი.

მე-3 ლეგიონის მთელი შემადგენლობა წავიყვანეს რო- ნოდუბის სწრაფი დატვირთვის შესასწავლად; წინდაწინ გაი- მართა საუბარი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ჯარის სწრაფად გადაყვანას, ბრძანების დრო- ზე ასრულებასა და სხვა.

სადგურის გათავების შემდეგ შეუდექით რონოდუბის და- ტვირთვას უფროსის განკარგულებით. წითელარმიელები სის- ტორით ასრულებდენ მოქმედების წესებს, მუშაობა მწყობრათ და დიდი სიწყნარით მიმდინარეობდა. რამოდენიმე წუთის შე- დეგ მზად იყო ყველაფერი. ამოცანა კარგად შეასრულეთო, რის შემდეგ მწყობრად და სიმღერით გამოვეშურეთ ბინისაკენ.

მიშა ქორიძე.

ავირჩიეთ დელეგატები წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენციისათვის.

მე-3 ლეგ. სკოლა.

ა/წ. 9 აგვისტოს შესდგა სკოლის უფ პ-ლიტ და კულ- ტურ-ა სამხედრო ნაწილების საერ- თო კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა შემდეგი კით- ხვები: 1. წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციის დე- ლეგატების არჩევა. 2. მიმდი- ნარე კითხვები.

კონფერენციის მნიშვნელო- ბის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თვალჭრელიძემ, რომელ- მაც კრებას გააცნო თუ რა მნიშვნელობა აქვს წ. არმიელ- თა კონფერენციას წითელი ჯარის რიგების განმტკიცების საქმეში. აგრეთვე აღნიშნა თუ რა უნდა გააკეთოს ჩვენმა არ- ჩეულმა დელეგატებმა.

მოხსენების შემდეგ შეუდე- ქით დელეგატების არჩევას. დელეგატების არჩევაში მხურ- ვალე მონაწილეობა მიიღო კულანტებმა და მისცეს არჩე- ულ დელეგატებს სათანადო ნა- კაზი.

სამხკ. როყუა.



მეთაურთა სკოლის კურსანტები ბანაკში ისვენებენ.

ჩვენი პარტიის და კომ-პაავშირის ცხოვრება

პარტიის მთლიანოგისათვის, ლენინური ცეკას ხაზისათვის.

(ცხენოსანი ლეგიონი)

13 აგვისტოს მოეწყო ლეგიონის მუდმივ ბინაზე მყოფ კომუჯრედის დაბურული კრება, რომელზედაც გაეკთდა მოხსენება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შესახებ. კრებას დაესწრენ წევრები და კანდიდატები რიცხვით 20 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. სიმონ ჩახიამ, რომელმაც გასაგებათ და ზანაარსიანათ მოუთხრო კრებას პლენუმის მუშაობის შესახებ და აგრეთვე განმარტა, თუ რასში მდგომარეობს ოპოზიციის შეცდომები. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შესახებ, სავსებით და მთლიანად ვუერთდებით პლენუმის დადგენილებებს და სასტიკად ვგმობთ ოპოზიციის გამოსვლებს, რომლებიც მიმართულია პარტიის მთლიანობისა და ლენინური ხაზის გატარების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მთლიან, ფოლად კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ბოლშევიკურ ცეკას და მის ლენინურ ხაზს!“

ამის შემდეგ კრებამ მიიმაგრა თითეული კომუჯრედის წევრი უპარტიო ამხანაგებზე, რომლებიც მიიღებიან კომპარტიის რიგებში, და დაავალა მათ აწარმოონ პოლიტმეცადინეობა განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

ვ. კახიძე.

ჩვენი ჯგუფის ცხოვრებიდან.

1-ლი ქარ. მსრ. ლეგიონის მე-8 და მე-7 ასეულები.

27 ივლისს შესდგა ჩვენი მე-7 და მე-8 ასეულების ახ. ლ. კ. კ. ჯგუფების მორიგი გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო რუს. ლეგიონის მე-8 ასეულის და მეოთხე ტერ-ლეგიონის მე-7 და მე-8 ასეულების ახ. ლ. კ. კ. წევრები. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება განათლების შესახებ (სრულიად საკავშ. ახ. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობის დადგენილებიდან); 2. მოხსენება პიონერთა მოძრაობის შესახებ; 3. კომკავშირში შემომსვლელ და პიონერთა მოძრაობის შესახებ; 4. მიმდინარე საკითხები. 1. საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გაბუნიამ, რომელიც ვრცლად შეეხო ახ. ლ. კ. კ. განათლების საკითხს და აღნიშნა როგორც მიღწევები, ისე ხელის შემშლელი მიზეზები. მოხსენების ირგვლივ გაიმართა შეკითხვები. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გუბერიძემ, რომელმაც აღნიშნა პიონერთა მოძრაობის საგრძნობი ზრდა. მოხსენების ირგვლივ მიცეული იყო შეკითხვები, რაზედაც

ერთად. პირიმე, შენი პირიმე,
ჩემი ხარ გენაცვალეო;
და სიყვარულის ფიალა
ასწიე, გამოცალეო...

—

ო, ჩვენ დავგხვარის სიამით,
ეს ვარდისფერი დილაო;
გვირგვინად გვედგმის ლურჯი ცა,
ალერსში გაღეღილაო...

—

მშვიდობით, ეხლა დრო არის,
გვიყვარდეს ურთი-ერთით;
და, ფიცი, მტკიცე მარადის
გვქონდეს ჩვენ შემაერთით...
(კოცნა... თინა მცერდზე მიეყრდნობა, ვანო ხელს მოჰხვევს, პაუზა).

დედა. (გამოდის საგზლით, რაღაცა ნუნდა სთქვას, მაგრამ რა ასე შეამჩნევს, გაიღიმებს, ჩუმდება, სიყვარულით შესცქერის, გაბგებ ჩაახველებს, ვითომ საგზალს ჰკრავს).

თინა. აჰ, დედაშენი!.. (შერცხვება, წამოიხტება, კოკას წყაროს მიუდგება, შარფს ისწორებს).

ვანო. დედა?! (ადგება თავს ჩალეწავს).

დედა. ნუ იმალები, თინიკო,
მე ვიცი ყველაფერიო;
დიდი ხანია, ვანო რომ
შენზეა ანამღერიო...
(შუაში ჩადგება, ხელს გადახვევს)

—

გიყვარდეთ მრავალჟამიერ,
თქვენ გენაცვალოს დედაო;
ჰა, შვილო, ცოტა საგზალი,
უარს ნუ გამიბედო... (აძლევს).

—

სამივე. ო, სიხარულო მზიურო,
ახალისებდე გულსაო;
თავისუფლებას ვბედავდეთ,
ვარდისფრად აქარგულსაო...
(ვანო და თინა დედას განშორდებიან, აქეთ-იქით დადგებიან, მღერიან ცალკე და ერთ და იმავე დროს)

ვანო. წითელ ყაზარმის პირიმე,
ის არის ჩვენი სკოლაო;
გაეზარდება დედასა
ნასწავლი შვილის ყოლაო...

—

თინა. ვალმოხდილ საქმროს ლოდინში,
გული ბუდიდან ხტებაო;
რა კარგი არის სატრფო რომ
თავის სულიკოს ხვდებაო...

—

დედა. მიტომ გავზარდე ბიჭიკო,
რომ ემსახუროს ხალხსაო,
მოვა და გლეხის ყველა მტერს
ვიცი ჩაცმეცს თალხსაო.
(დასასრული იქნება)

ს. ერ—ლი.

მოგვაცით კინო-სურათები.

რამოდენიმე ხანია, რაც მესანგრე და სკავშირო ასეულის კლუბში არ გაუშვიათ კინო-სურათი. არც სხვა კინოთეატრებში წავსულვართ. შეკითხვაზე გვიპასუხებენ—ბილეთები არ მოგვდისო.

ნუ თუ არ შეიძლება, კვირაში ერთხელ მაინც გაგვგზავნონ წითელი არმიისა და ფლოტის სახლში?

მ—ე.

ჯარში გაწვევა.

(სურათი)

ბი: წყაროს თავზე, სოფლის ბაჟი, იქვე, მარცხნივ ვანოს ი, მთვარიანი ღამე, თინდა- თენდება; ისმის ძაღლის ყეფა, ლის ბღავილი, ურმული და ... მოთამაშენი იტყვიან ლექ- უკეთესია სიმღერით, ყველას და სხვა ჰანგი შეიწყობა არ- ულ სიმღერებიდან... პაუზა.

ო. (გამოდის, წასასვლელად ზადაა, დედა გამოჰყვება)

ედობით, დედა, მიედინარ, ყვარულ წითელ ჯარშია; ურცხვეს იმას ნამუსი, ნც, რომ დარჩება სახლშია...

— (ეხვევა)

თელი ყაზარმა მელის, ს მტერი ზარმკვმი თოფიო; ზედი მას, ვინც ამ ზეიმში ენთან არ არის მყოფიო...

—

ა. შვილო, გიყვარდეს მშრო- მელი ლხის კეთილდღეობაო; ს მოგაკლოს ჩემი ღოცვა კომუნის მზეობაო...

—

დედაშენის ტკბილი ძუძუ
შხამად შეგეგროს შენაო,
თუ შენმა კაიბიჭობამ
დროშა არ დაამშვენაო...

—

ანო. ჩემო ძვირფასო დედიკო,
ვფიცავ მე შენსა მზესაო,
რომ თავისუფლების მტრებსა
კარგს არ დავაყრი დღესაო...

—

ედა. ვანო, მოიცა, ეხლავე
საგზალს გიმზადებ, მალეო;
აჰა, მიედინარ, ჰირიმე,
შვილო, შენ გენაცვალეო...

— (გადის, პაუზა)

ანო. შვილობით ჩემო სოფელო,
წინ მინდორო, უკან ტყეო;
ვაქებისა სათამაშო,—
ქალებისა სამოთხეო...

—

გშორდები, დროებით, რომა
გადავიხადო ვალიო;
ჩაქუჩ-ნამგალის ქვეყანაში
დავიცვა მომავალიო...
(პაუზა, მოუთმენლობა ეტყობა, ვიღაცას ელის)

ანო. კარგი, სიცოცხლევ, გენაცვა...
შენ მოსვლით გამახარეო;
აჰა, გზად ვდგევარ, აქ მრჩება
შენ და ეს ტყრუა მხარეო...

—

მივდივარ, მარა, ამას გთხოვ,
ჩემო სიცოცხლევ, თინაო;
ვინძლო არვისზე გამცვალო,
ვიდრე დავბრუნდე შენაო...

—

თინა. ვანო, ეანიკო, რას ამბობ,
ეშვებში გადასულაო;
თუ ჩემზე ასე იფიქრებ,
არ გყვარებივარ სულაო...

— (ებუტება, სტირის).

მე მეშინიან, ვაჰ თუ შენ
გამცვალო იქ სხვა ქალზეო;
და, ამ გულს შენდა სანაცვლოს
დამაბუგვინებ ალზეო...

—

ერთად. ეს გული მხოლოდ შენ
გიტრფის
და გიმღერს დღე და ღამეო;
თუ გიღალატო, მაშინ გულს
ბასრი ხანჯალი დამეო...

—

ვანო. ო, თინა, თინა, იქ მარად
ამაყად ვიყვი წინაო;
ჩემი იქნები, ჰირი-მე,
როს დავბრუნდები შინაო...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწადირის კუთხე.

სწრაფი სროლა.

საფანტით სროლისაგან განირჩევა ტყვიით სროლისაგან იმით, რომ საფანტი ხვდება და იკავებს საკმაო დიდ მოედანს—1 მეოთხედ არშინს დაახლოებით. ეს საშუალებას გვაძლევს დიდი დრო არ დავხარჯოთ დამიზნების დროს.

დამიზნების სისწრაფე ნადირობაში მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ დამიზნების სისწრაფის საბრძოლო პირობებშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოცდილი მონადირე ისეთის იმედნდ ჩქარა, თითქოს სულ არ უმიზნებდეს, არამედ მიუშვერს უცებ თოფს მიზანს და მაინც ახვედრებს.

როცა შეეჩვევი ჩქარ სროლას საფანტით, შეიძლება გადახვიდე ისეთსავე სროლაზე ტყვიით.

სროლის დროს უნდა დაუდგე მიზანს ნახევრად მობრუნებით, მარცხენა გვერდით; მარცხენა ფეხი უნდა გასწვდა ნახევარ ნაბიჯით წინ და გვერდზე. მარჯვენა ხელით უნდა გეკრათ კონდახის ყელი, ხოლო მარცხენათი ლულის კორისე. რომ მარცხენა ხელი თითქმის გამართული უნდა იყოს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს—არ შეეჩვიო სროლა, არც თოფი, არამედ უნდა მიაყოლო ლულა მიზნის მოძრაობის მიმართულებას.

ზოგიერთი მსროლელი ხშირად ეჩვევა დამიზნებისას განსაკუთრებით ფრინველის გფერნის სისწრაფე და მიმართულება და ამიტომ უმიზნებს არა ფრინველს, არამედ წინ გაფრენის მიმართულებით.

ზოგიერთ ფრინველს, მაგრამ ეჩვევიან ფეხის გამოშვების დროს ერთგვარი ბიძგი მისცენ თოფს ფრინველის ფრენის მიმართულებით.

ეს ორივე ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნას, თავდათავის ისაა—არ დაიჯვიანო გასროლაში, არ მისცეო ლულით მიზანს და არ ეძებო ეს.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტროს დარაჯი.

უკანასკნელ წლებში, ავტომობილებით გადატანილ ბარგის რაოდენობა საგრძნობლად აღემატება რკინისგზით გადატანილ რაოდენობას. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ხშირი რკინისგზის ქსელს გარდა ავტომობილის გზების კიდევ მეტი ხშირი ქსელია.

ამ ხაზების გადაპრის წერტებზე დარაჯების დაყენება მეტად ძნელი ბარგი იქნებოდა. ამიტომ ამერიკაში მოიგონეს ერთი საშუალება. მისი მოწყობილობა მეტად მარტივია. როცა მატარებელი უახლოვდება გადასაკეთ, მას თავის ბორბლებით მოძრაობაში მოჰყავს ელექტროს ხელსაწყო, რომელიც თავის მხრივ ასწევს რკინისგზის მარჯვენივ ან მარცხნივ გაკეთებულ „დაბრკოლებას". მაგრამ როცა მატარებელი გასცილდება ავტომობილის გადასავალს, ისევე ავტომატიურად დაიშვება „დაბრკოლება" და ავტომობილი თავისუფლად გადადის რკინისგზაზე.

— ლინის. ლაგირის ფული ეძლევათ მხოლოდ შვიდი ხარისხიდან დაწყებული ზევით. (ბრძანება № 222—26 წ.)

— ნივოს. ლეგიონის ბ. კოლექტივს შტატით არ ეკუთვნის ტეხნიკური მომუშავე. ასეთს სამხკომი გამოყოფს რიგის პარტიის წევრებიდან.

— სოსოს. თუ გამოცდებს არ ჩააბარეთ ადუშმადგენლობაზე, მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელი.

— იუზბაშევს. ოჯახური შეღავათი „გეკუთვნით. წარადგინეთ საბუთები ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიაში.

— ცალუღელაშვილს. ჯარში გაწევის გამო თქვენი ნორმის ჩამორთმევის უფლება არავის ქონდა. მიმართედ მაზრის მიწის კომისიას.

— ხოსასურიძეს. თანახმად ბრ. № 1520 დართულ „საკავშირო ცაკის დადგენილებისა თქვენ შეგიძლიათ თავისუფალ დროს კურსებზე სიარული უფროსის ნებართვით.

— ლაჰავას. მიმართედ რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციას და თუ თავისუფალი იქნა ადგილი პირველ რიგში უნდა მოგეცეთ ასეთი, როგორც წ. არმიელს.

— მასეე. 1902 წ-დან. შეეხულებაში წასვლის შესახებ ამ მოკლე ხანში იქნება განკარგულება.

— ფენიშვილს. თუ საშუალო მეთაურზე არ ჩააბარეთ გამოცდები, მაშინ იმსახურებთ ორ წელიწადს.

— სკვირჩას. სამსახურისათვის უნდა მიმართოთ ტრამვაის დირექციას და თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა თუ თავისუფალი ადგილი იქნა უნდა მოგეცეთ პირველ რიგში.

— მამისეიშვილს. ავადმყოფობის გამო შეებულება გეთვლებათ სამსახურათ.

— ლოსაბერიძეს. თქვენი შეკითხვის შესახებ თქვენი წაწერილის შტაბი ამ მოკლე ხანში მიიღებს ბრძანებას.

— მანჯგალაძეს. თუ თქვენი მიზეზით არ დაკარგულა მაზარა, მაშინ მოგეცემათ სხვა.

— იკაევს. მოკლე ვადიანი შეებულება წ. ა. ეძლევათ განსაკუთრებულ მიზეზების გამო, რის მოწმობა უნდა გქონდეთ აღმასკომიდან.

— ენუქიძეს. ა. წ. საერთო შეკრებაზე არ იქნებით გაწვეული.

— ივრისპირელს. განთავისუფლებული იქნებით სამსახურიდან 1902 წ. დაბ ერთად.

— ხოტივარს. ოჯახურ შეღავათებით არ სარგებლობთ, როგორც საშუალო სკოლა დამთავრებული.

— შავგულიძეს. ავადმყოფობის გამო მიცემული შვებულება მეთაურთა შემადგენლობას არ უკარგავს უფლებას ისარგებლონ მორიგ შვებულებით.

— კალამკაროვს. თქვენმა ძმამ უნდა მისცეს განცხადება სათანადო მოწმობებით იმ ნაწილის უფროსს, სადაც ის მიწერილია.

— გურგენიძეს. თქვენი შეკითხვის შესახებ ამ მოკლე ხანში მიიღებს განკარგულებას თქვენი შტაბის უფროსი.

ჩვენი ფოსტა

ხიშტის ბუდეს. წერილები—„ნაკლს გამოსწორება უნდა" და „სიმ... რულეს არ შეიცავს"—არ წავა, ვინაიდან თქვენი ვინაობა ... დაქციისთვის უცნობია.

გ. სხვიტარიძეს.—შენიშვნა ამხ. კ—ძეს—არ წავა, ერთობ დაგვიან... ბულია.

ვარდიძეს—„ზამთრის თეორიას ულებთ ბოლოს"—არ გამოდგა, ზ... გადია.

კიკნაძეს. ცნობა—რათ უნდათ—არ წავა. შეუძლებელია სიმართლ... იყოს. თუ კარგად დაასაბუთებთ—რედაქცია გაუშვებს.

კ. მაღნარაძეს—საცნობო მუშაობა—არ გამოდგა. ამ თემაზე ბევრ... დაიწერა. მოიწერეთ სხვა თემაზე.

ვ. ბოჭორიშვილს. სინათლის შესახებ კედლის გაზეთში მოათავსეთ... ხელაშვილს. თქვენი წერილი—მესანგრეების დანიშნულება ვერ გა... გეს—არ წავა.

გ. ჩიხლაძეს. ეს ასე არ ვარგა—არ დაიბეჭდება. ექიმი სხვაზე უკეთ გაიგებს ავადმყოფობას.

ბუხდალაძეს. თქვენი კორესპონდენციები მანევრების შესახებ გა... შვით. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი დიდი ნ... კლე, რომელიც თან ახლავს თქვენს წერილებს. თქვენ არაფერ... არ სწერთ იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა მანევრები და რა საბრძოლო მომზადება გამოიჩინა ნაწილმა. დაწვრილებით სწერთ მხოლოდ იმაზე, თუ რა გაკეთდა სოფლად. ვიმეორებ ეხლა, როცა წითელი ჯარი ჯამს უკეთებს თავის საბრძოლო მომზადებას, ყოველი საბჭკოთა მოვალე არის რაც შეიძლება ფართედ და შინაარსიანად გააშუქოს ყოველგვარი ფაქტი და მოვლენა, რომელიც ახასიათებს ნაწილის თუ ცალკე მებრძოლის სამხედრო მომზადებას. ამიერიდან თქვენც გმართებთ ამ მიმართულებით იმუშაოთ.

უნდა სწეროთ არა მარტო სოფელთან კავშირის შესახებ, არამედ უმთავრესად იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეთ საბრძოლო მომზადების დარგში.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მე-2 ბატარეის კომუნურედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ახალაშვილი ვლადიმერ ივანეს ძეს (ახ. ლ. კ. კ. წევრი დუშეთის მაზ. სოფ. წეროვანის მცხოვრები), 2. ნადირაძე ლაზარე მურავანის ძეს (ახ. ლ. კ. კ. წევრი, შორაპანის მაზ. სოფ. არაგვეთის მცხოვრები), 3. ლაჰავა მელქისედეკ ივანეს ძეს (უპარტიო, ქუთაისის მაზ. ქალაქ ხონის მცხოვრები.

გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე უარყოფითი ცნობები აქვთ ზემოჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ, გვაცნობეთ ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ მისამართით: ტფილისი, (საბურთალო) არტილერიის მე-2 ბატარეის კომუნურედი.

კომუნურედის მდივანი გ. შალიკაშვილი.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-4 უნარედში შემოტანილი აქვ... განცხადება შემდეგ პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გა... რიცხვის შესახებ. 1. ვალერიან თურქაძე ამირანის ძეს (შორაპანის მაზ., სოფ. ალისუბანის მცხოვრები), 2. ორაგველიძე პანტელეიმონ ელიზბარის ძეს (ოზურგეთის მაზ. სოფ. შუხუთის მცხოვრები).

თუ ვინმეს საწინააღმდეგო ცნობები აქვთ ზემოთქმულ ამხანაგების მიმართ, ვთხოვთ გვაცნობონ აღნიშნულ ლეგიონის მე... უნარედში, ერთი კვირის განმავლობაში.

უნარედის მდივანი ვაშაკიძე.

1-ლ ქართ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუნარედში შემოტანილი აქვს განცხადება კ. პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. ივანე გიორგის ძე გიორგაძეს, და კომპარტიის კანდიდატს, სამხონ ტარასის ძე ჩიხლაძეს წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე აქვს ამ ამხანაგებზე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ხსენებულ უნარედში.

1-ლ ქართ. დივიზიის შტაბის და პოლიტ-განყოფილების

კომუნურედის მდივანი ქანდარია.

მე-2 ქ. მ. დ. ცალე საკავშირო ასეულის კომუნარედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატს ამხ. ჭროსელაშვილი ივანე გრიგორის ძეს, ა. ლ. კ. კ. წევრს ამხ. ზამთარაძე რაქელის და ცხვიტარია ხარატონ მიხეილის ძეს პირველ ორს კომპარტიის წევრად, ხოლო მეორეს კომპარტკანდიდატად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე უარყოფითი იცის ხსენებულ ამხანაგების შესახებ—გთხოვთ აცნობოთ აღნიშნულ უნარედს 15 დღის განმავლობაში.

ცალკე საკ. ასეულის კომუნურედის

პ. მ. მდივანი: ახალაშვილი

მე-5 ლეგიონის 1-ლ კომუნარედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ წ. არმ. ჯორბენაძის ბესარიონ ლეკას ძეს კ. პ. კანდიდატი 1925 წლიდან და კ. კ. წევრი 1923 წლიდან.

კომპარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ: კიკაჩეიშვილი კორნელი ივანეს ძეს (კ. კ. წევრი 1925 წლიდან).

თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნული ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

კომუნურედის მდივანი ჩაჩანიძე.

დაკარგე პარტ-კანდიდატობის ბარათი № 13... კომკავშირის მანდატი № 22851, „რემინგტონის" წიგნაკი № 5549699. გარნიზონის ექიმთა კომისიის მოწმობა სამსახურის დახასიათება და სილარიბის მოწმობა პლატონ ერისტის-ძე როსნაძის სახელზე,—ჩაითვლოს გაუქმებულად.

უცხოეთის არმიებში

ჩვენი მეზობლების სამხედრო მრეწველობა

საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში რუმინეთისა და პოლონეთის არმიებს საბრძოლო მომარაგების დიდი ნაკლებობა ექნება.

მაგალითად ყოველთვიურად ქარხნებში მზადდება:

1. პოლონეთში: შაშხანა—4.500, ვაზნა—20.300.000 და არტილერიის პურვები—58.000.

2. რუმინეთში: შაშხანა—7.500, ვაზნა—15.000.000 და არტილერ. პურვები—1.000.

შაშხანების დამზადება ახლო მომავალში პოლონეთში აყვანილ იქნება 6.000 ცალამდი თვეში. რუმინეთთან შედარებით პოლონეთს უფრო განვითარებული მრეწველობა აქვს. მიუხედავად მწვავე უმუშევრობისა, პოლონეთში მუშაობს დიდძალი სამხედრო მასალის დამმუშავებელი ქარხანა. პოლონეთში დიდი ყურადღება ექცევა ქიმიურ მრეწველობას, რომელიც აერთიანებს 60-დი ქარხანას.

ომის დროს პოლონეთი და რუმინეთი იძულებული იქნებიან შეიძინონ საომარი მასალა საზღვარ გარედ. მაგრამ ეს ყოველთვის შეუძლებელი არაა. მაგალითად პოლონეთს შეიძლება მოვიყვანოთ პოლონეთ—რუსეთის ომი, რომლის დროსაც იყო შემთხვევები, როცა მუშებმა უარი განაცხადეს გადაეტანათ ჯარები პოლონეთში გასაზავნად.

ასეთი შემთხვევის შესაძლებლობის გამო მომავალში, პოლონეთმა და რუმინეთმა შეთანხმება დასდეს ჩეხო-სლოვაკიასთან. ამ შეთანხმების ძალით ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო მრეწველობა მიაწოდებს საჭირო მასალას პოლონეთისა და რუმინეთის არმიებს. ჩეხოსლოვაკიის ქარხნებში ყოველთვიურად მზადდება:

თოფის ვაზნა—190 მილიონი

ტყვიამფრქვევის ვაზნა—100 მილიონი

ხელის ყუმბარები—300 მილ.

არტ. პურვები—850 ათასი

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხო—სლოვაკიაში მხოლოდ შკოდას ერთ ქარხანაში ომის დროს მუშაობდა 40.000 კაცი.

ა. ბ

რით ფავლენ შვებულები სახლში.

(შვებულთა ნიმუთებით კმაყოფის წესი)

არმიას ამ ჟამად არ აქვს საშუალება სრულიად დააკმაყოფილოს ტანისამოსით 1902 წ. დაბადებული შვებულები. თვითეულ წითელ არმიელს მსმის, რომ ჩვენი არმია და მთლიანად—ქვეყანა ჯერ კიდევ ღარიბია.

ამიტომ კავკასიის არმიის მომარაგებამ, ცენტრის განკარგულების თანახმად, დაიწყო დაკმაყოფილებულ იქნას შვებულები შემდეგი წესების თანახმად:

მაზარა

902 წლიანი შვებულები თავისუფლდებიან მაზარებით, რომლებიც დარიგებული იყო ნაწილებში 1924 წლის შემოდგომაზე. ამათთვის კი, ვისაც ამათუმთ მიზეზების გამო მაზარა არ აქვს, ნაწილებმა უნდა მიიღონ ზომები ვადა გასულ მაზარებიდან ზედა ტანისამოსის დასამზადებლად. თუ ასეთი მაზარები არ მოიპოვება, იმ შემთხვევაში შეიძლება ნახევარ პალტოს, თექასა და, უკიდურეს შემთხვევაში, ქვინჩის („პოლუშუბოკ") მიცემა, თუ ასეთი მოეპოვება ნაწილს.

1925-26 წლისთვის მიცემულ მაზარებით გათავისუფლება არ შეიძლება.

მოკლე ვადიანი (ერთ წლიანები), რომლებიც გაწვეული არიან 25 წლის შემოდგომაზე თავისუფლდებიან მაზარებით, რომლებსაც ისინი ატარებენ განთავისუფლების დროისთვის.

(დანარჩენ კმაყოფას ისინი ღებულობენ თანახმად სსრკ-ს რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 476, 1925 წ.)

საცვლები

საცვლები, რომლებიც მიღებულია სექტემბერში ზამთრის პერიოდისთვის, მიეცემა დარჩენილ წითელ არმიელებს.

საცვლები კი, რომლებსაც დანარჩენები ატარებენ, შეეცვლებათ და გარეცხის შემდეგ მიეცემა შვებულებს—თითო წყვილი (საზაფხულო). ცივ რაიონებში მიმავალი მიეცემა თითო წყვილი თბილი საცვალი.

ფეხსაცმელი

ფეხსაცმელები დაურიგდებათ მხოლოდ შეკეთებული, ტარების ვადა გასულთაგან.

უკიდურეს შემთხვევაში, როცა ასეთები ნაწილს არ მოეპოვება, შეიძლება მიეცეს ის ფეხსაცმელები, რომლებიც უტარებიათ ექვს თვეზე ქვევით.

საზაფხულო ხალათი, შარვალი და ქუდი, რომლებსაც ატარებს წითელარმიელი (ბრძანება № 476, 25 წ.), შეებულების დროს არ ჩამოერთმევა.

მაუდის შარვლები

მიეცემათ მხოლოდ ცხენოსან და ცხენოსან არტილერიის ნაწილებს, რომლებიც ასეთებს ატარებდნენ. ტეხნიკური ა სპეციალური ნაბიჯების ძველებური მიდიან საზაფხულო შარვლებით.

ტყავის ქამრები

რომელთა ტარების ვადა 10 წელიწადია, რჩებიან ნაწილში. იმათ მაგივრად მიეცემად ვეზნას ჰკვანი.

ძელები

ძელეს რა დიდ მნიშვნელობას შვებულთა ტანსაცმელით დაკმაყოფილების საკითხს, საკავშირო რევსამხსაბჭოს ბრძანებაში № 476 ვალდება ნაწილების მეთაურთა შემადგენლობას, სასტიკად დაიცვას ბრძანებით დადგენილი წესები. კიდრო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მეთაურს სიწორით ასრულებას, სადაც ნათქვამია, რომ წითელ არმიელები არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდენ შვებულებაში დახეულ და ჭუჭყიან ტანსაცმელში.

კ. წ. დ. არმიის მომარაგების დროებითი უფროსი შაკუნი.